ძირითადად, ამგვარ - პრაქტიკაში საკმაოდ ხშირ - კონსტელაციებში, გერმანიაში პარალელურად არსებობს ყველა მოთხოვნის უფლება. ეს მიდგომა არ იწვევს პრობლემებს პრაქტიკაში, რამდენადაც მოთხოვნის უფლების ცალკეული საფუძველი იდენტურია არა მხოლოდ მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით, მაშასადამე, მაგ. იმავე ნივთის დაბურნება, ან იმავე თანხის გადახდა, არამედ, აგრეთვე არ განსხვავდება ერთმანეთისგან ნორმის წინაპირობების მიხედვით. თუ, მაგალითად, მშენებელი, სამდულრო სამუშაოებისას, ბრალეულობით გადაწვავს დამკვეთის შენობას, ვალდებულების ეს დარღვევა, როგორც გერმანულ ისე ქართულ სამართალში წარმოშობს, როგორც ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს, აგრეთვე დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, იდენტურია, როგორც ორივე მოთხოვნის უფლების ნორმის წინაპირობები, აგრეთვე მათი სამართლებრივი შედეგები, ისე, რომ, ამ მოთხოვნის უფლებების პარალელურად არსებობა, არ იწვევს პრობლემებს, და, განსაკუთრებით, არც ურთიერთწინააღმდეგობების გაჩენის საფრთხეს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, თუ რა მოხდება, თუ ცალკეული მოთხოვნის უფლებისთვის იმოქმედებდა განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები და აქედან გამომდინარე, ერთი მოთხოვნის უფლება ხანდაზმული იქნებოდა, ხოლო მეორე არა.

თუ განსხვავებულია ერთი და იმავე სამართლებრივი შედეგის მიღწევაზე მიმართული მოთხოვნის უფლებების ნორმის წინაპირობები, როგორც წესი, უნდა განვასხვაოთ იმის მიხედვით, დგას თუ არა ცალკეული მოთხოვნის უფლება - როგორც წესია ხოლმე - იერარქიულად ერთ საფეხურზე (ერთ დონეზე) ერთმანეთის პარალელურად. თუ ეს ასეა, ის, რომ ერთ-ერთ შესაძლებელ მოთხოვნის უფლებას, კონკრეტულ საქმეზე, აკლია ნორმის ერთი წინაპირობა, არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ მეორე მოთხოვნის უფლების არსებობას. ამისგან განსხვავებით, კრიტიკულია ის კონსტელაციები, რომლის დროსაც ერთი კანონისმიერი რეგულაცია საგნობრივად უფრო ახლოს დგას სადავო ფაქტობრივ გარემოებასთან, ვიდრე მეორე. მსგავს შემთხვევებში, კანონმდებლის კონცეფციის გათვალისწინებით, ისმის კითხვა, ეხება თუ არა საქმე საგნობრივად უფრო ახლოს მდგარი რეგულაციისას სპეციალურ დებულებას - რამდენადაც ამის ცოდნა საჭიროა, რა სახით - და რა გავლენას ახდენს ის ზოგად საკანონმდებლო რეგულაციაზე. განსაკუთრებით კრიტიკული ხდება ეს კითხვა იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური წესი მოთხოვნის უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით ნორმისთვის უფრო მკაცრ წინაპირობებს ითვალისწინებს, ვიდრე ზოგადი რეგულაცია. გერმანიაში, ამასთან დაკავშირებით ვსაუბრობთ შეფასებით ურთიერთწინააღმდეგობებზე, მაშასადამე წინააღმდეგობებზე, რომელიც გამომდინარეობს სხვადასხვა მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის პარალელურად გამოყენებისას ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოების კანონისმიერი შეფასებისას. მსგავსი კონსტელაციებისას შესაძლებელია ვიფიქროთ პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ მიდგომებზე:

- ორივე მოთხოვნის უფლება არსებობს ერთმანეთის პარალელურად და არ ახდენს გავლენას ერთმანეთზე.
- ორივე მოთხოვნის უფლება, მართალია, ძირითადად, ერთმანეთის პარალელურად არსებობს, თუმცა იმისთვის, რომ მოხდეს შეფასებითი ურთიერთწინააღმდეგობების თავიდან აცილება, უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობაა, რომ სახეზე იყოს აგრეთვე სპეციალური წესის, მაშასადამე, საგნობრივად უფრო ახლოს მდგომი, სპეციალური მოთხოვნის უფლების დამატებითი ფაქტობრივი წინაპირობები.
- სპეციალური წესი, ზოგადად, განდევნის ზოგად მოთხოვნის უფლებას, მაშასადამე, როგორც გერმანიაში ნაწილობრივ ამას ამბობენ, ბლოკავს მას.

გერმანიაში არ არსებობს ამ თემატიკის ერთგვაროვანი გადაწყვეტის გზა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოოდ კითხვას, შეიძლება თუ არა ამოვიკითხოთ დავის საგანთან საგნობრივად უფრო ახლოს მდგომი (უფრო სპეციალური) რეგულაციიდან, რომ იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელსაც ის ეხება, შესაძლებელია კანონმდებლის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. თუ ამოცნობადია კანონმდებლის მსგავსი ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, დაუშვებელია, რომ ის გაქარწყლდეს უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებით.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, გერმანიაში არსებობს სასამართლო პრაქტიკა ბევრ სხვადასხვა კონსტელაციასთან დაკავშირებით, რომელიც ქვემოთ, უმეტესწილად უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი. ძალზე უხეშად რომ შევაფასოთ, ძირითადად, იკვეთება შემდეგი მიმდინარეობები:

სპეციალური კანონისმიერი რეგულაციის არსებობა, რომელიც განდევნის ზოგადი მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძველს, ივარაუდება, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებისთვის არსებობს სპეციალური კანონისმიერი წინაპირობები. ამაში შედის მაგ. ვადის წინასწარ განსაზღვრის საჭიროება შესრულების განხორციელებისთვის, სანამდე შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება. თუმცა ეს, როგორც წესი, მოქმედებს მხოლოდ ზოგადი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების, საკუთრებიდან ან ფლობის უფლებიდან გამომდინარე ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებების (მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის ჩათვლით) და აგრეთვე უსაფუძვლო გამდიდრებიდან ან დავალების გარეშე სხვის საქმის წარმოებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართ. დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, ამისგან განსხვავებით, არ განიღვენება დაცული სამართლებრივი სიკეთეების (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება, ზოგადი პიროვნული უფლება) დაცვის მაღალი საჭიროების გამო (თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესი). ანალოგიური მოქმედებს ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო ქმედების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დელიქტის გამო

სამართლებრივი დაცვა გერმანიაში, ძირითადად (განსხვავებული მოქმედებს ე. წ. დამცავი კანონების დარღვევის შემთხვევაში), არ მოიცავს ზოგად ქონებრივ ზიანს, მაშასადამე, ეკონომიკურ ზიანს, როგორც ასეთს, არამედ მხოლოდ იმ კონსტელაციებს, რომელშიც ქონებრივი ზიანი წარმოადგენს დასახელებული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგს.

თუ სახეზეა კანონისმიერი სპეციალური რეგულაცია, რომლის მიზანიც ვერ იქნებოდა მიღწეული უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის გამოყენების შემთხვევაში, გერმანულ მართლწესრიგში, მსგავს შემთხვევებში, განიდევენება უფრო ზოგადი რეგულაცია. თუმცა განსხვავებულია გერმანული მიდგომა იმ შემთხვევაში, თუ, ერთი მხრივ, უფრო ზოგად კანონისმიერ რეგულაციასა და მეორე მხრივ, უფრო სპეციალურ კანონისმიერ რეგულაციას შორის არ არსებობს შეფასებითი ურთიერთწინააღმდეგობები ფაქტობრივი წინაპირობებისას, არამედ სახეზეა მხოლოდ განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები, კერძოდ, უფრო მოკლეა ხანდაზმულობის ვადა უფრო სპეციალური მოთხოვნის უფლების წარდგენის საფუძვლისთვის, ვიდრე უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების წარდგენის საფუძვლისთვის. მსგავს შემთხვევებში, ცალკეული მოთხოვნის უფლებები არსებობს ერთმანეთის პარალელურად. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს, ხომ არ სურდა კანონმდებელს სპეციფიკური მიზნის მიღწევა უფრო სპეციალური მოთხოვნის უფლებისთვის უფრო მოკლე ხანდაზმულობის ვადის დაწესებით, რომელსაც საფუძველი გამოეცლებოდა უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გამოყენების შემთხვევაში. რამდენადაც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ უფრო სპეციალური მოთხოვნის უფლების უფრო მოკლე ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფრო ზოგადი მოთხოვნის უფლების შემთხვევაში.

სასამართლო პრაქტიკამ, ამ პრინციპებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი გადაწყვიტა, ძირითადად, შემდეგი კონსტელაციებისთვის:

III. არსებითი კონსტელაციები

1. მიმართება უფრო ზოგად და უფრო სპეციალურ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს შორის და აგრეთვე სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს შორის

ა) ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებებისა და ზოგადი სახელშეკრულებო შესრულების ხელშეშლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართება

შესრულების საგნის ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის შემთხვევაში, როგორც საქართველოში აგრეთვე გერმანიაში არსებობს სპეციალური კანონისმიერ რეგულაციები ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლების წინაპირობებთან დაკავშირებით, მაგ. ქართული სკ-ის 490 და მომდევნო მუხლები ნასყიდობის სამართლისთვის, 536-ე და მომდ. მუხლები ქირავნობის სამართლისთვის, ან 642-ე და მომდ. მუხლები ნარდობის ხელშეკრულების სამართლისთვის. შესრულების საგნის ყოველ ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლს,

ამავდროულად საფუძვლად უდევს სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებების ობიექტური დარღვევა, ისე, რომ კანონის ტექსტის მიხედვით ხსნილია აგრეთვე გზა ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი დებულებების გამოყენების სფეროსთვის სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, მაშასადამე, სკ-ის 394-ე მუხლისთვის ან §§ 280 ff. GER-BGB.

ამასთანავე, ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისგან ფაქტობრივი წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები, როგორც ქართულ ისე გერმანულ სამართალში. ზოგადი რეგულაციები ვალდებულების ბრალეულობით დარღვევისას, ძირითადად, ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას, ისე, რომ ამისთვის არ აწესებს დამატებით წინაპირობებს (შდრ. სკ-ის 394-ე მუხ., §§ 280 ff. GER-BGB). ნივთობრივი ნაკლის სამართალთან დაკავშირებული რეგულაციებისას კი, ხშირად, უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაკლის გამოსწორება დამატებითი შესრულების ფორმით, ან ახლის დამზადება/სანაცვლო მიწოდება. ამ კანონისმიერ დებულებებს საფუძველი გამოეცლებოდა, თუ სახელშეკრულებო შესრულების ხელშეშლის ზოგადი რეგულაციების გამოყენებისთვის თავიდანვე წარმოიშობოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. განსაკუთრებით პრობლემატური ხდება ეს ყველაფერი მაშინ, თუ დამატებით სახეზე იქნება გადაფარვები წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევებთან, თუ მაგ. გამყიდველმა არ შეასრულა ნასყიდობის საგნის გამოყენებასთან დაკავშირებული განმარტებისა და მითითების ვალდებულებები, ან თუ მყიდველს ჰქონდა არასწორი წარმოდგენა ნასყიდობის საგანთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილება არსებით თვისებასთან დაკავშირებული შეცდომის გამო სკ-ის 74-ე მუხ. მე-2 ნაწ. მიხედვით (§ 119 Abs. 2 GER-BGB).

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ამ პრობლემებთან დაკავშირებით შემუშავდა შემდეგი გამოსავალი:

საფრთხის გადასვლამდე გამოყენებადია შესრულების ხელშეშლის ზოგადი რეგულაციები, ვინაიდან ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებები წარმოიშობა საფრთხის გადასვლის მომენტიდან და აქედან გამომდინარე, მხოლოდღა ამის შემდეგ შეიძლება განდევნონ მათ ზოგადი რეგულაციები (BGH, Urteil vom 10.03.1995 - V ZR 7/94 - BGHZ 129, 103). ეს იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც შეუძლებელია ნაკლის აღმოფხვრა, ან, როდესაც მხარე უარს აცხადებს ამაზე და მყიდველს ან დამკვეთს, აქედან გამომდინარე, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, გამონაკლისის სახით, უკვე საფრთხის გადასვლამდე წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები. სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული ამ პრინციპების საფუძველზე უნდა მოხდეს მყიდველის ან დამკვეთის უპირატეს და არა უარეს მდგომარეობაში ჩაყენება, ისე, რომ ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში, მაშასადამე, ნაკლის აღმოფხვრის შეუძლებლობისას, ან ნაკლის აღმოფხვრაზე უარის თქმისას, ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებები, ან შესრულების ხელშეშლის ზოგადი სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, გამონაკლისის სახით, ერთმანეთის პარალელურად არსებობდეს და მყიდველს ან დამკვეთს შეეძლოს აირჩიოს მისთვის უფრო ხელსაყრელი მოთხოვნის უფლება (BGHZ 129, 103).

საფრთხის გადასვლის შემდეგ ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებები, ერთსულოვანი მოსაზრების მიხედვით, უპირატესობით სარგებლობს ვალდებულების დარღვევასთან

დაკავშირებული ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი რეგულაციების მიმართ, რამდენადაც ვალდებულების დარღვევა უკავშირდება სახელშეკრულებო საგნის ნივთობრივ და სამართლებრივ ნაკლს (BGH, Urteil vom 23.02.2005 - VIII ZR 100/04 - BGHZ 162, 219; BGH, Urteil vom 07.12.2005 - VIII ZR 126/05 - NJW 2006, 988; BGH, Urteil vom 22.06.2005 - VIII ZR 1/05 - NJW 2005, 3211). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი რეგულაციების გამოყენებით ნაკლის აღმოფხვრის სამართლის სპეციალური დებულებებისთვის საფუძვლის გამოცლა. ამით ხდება თავიდან აცილება, რომ არ მოხდეს - ქართულ სამართალზე მითითებით - შემსრულებლის უფლებისთვის, ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში, თვითონ გადაწყვიტოს ნაკლი აღმოფხვრას, თუ დაამზადოს ახალი ნაკეთობა (სკ-ის 642-ე მუხ. პირველი ნაწ. მე-2 წინ.), საფუძვლის გამოცლა, ან, რომ დამკვეთს, ნაკლის თვითონ აღმოფხვრის შემთხვევაში, შეეძლოს ნაკლის აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა მენარდისთვის ვადის წინასწარ განსაზღვრის გარეშე (სკ-ის 643-ე მუხ.).

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რამდენად და შესაბამისად რომელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში განდევნის ნაკლის აღმოფხვრის რეგულაციები აგრეთვე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს წინარე-ხელშეკრულებითი ვალდებულების (culpa in contrahendo) დარღვევის გამო. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, ამასთან დაკავშირებით, მათ შორის, აქვს შემდეგი მოსაზრება:

„...და) პალატას ამ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ საფრთხის გადასვლის შემდეგ, მართალია უნდა ამოვიღეთ § 434 ff. BGB-ის (ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის აღმოფხვრის უფლება) უპირატესად გამოყენების უფლებიდან, თუმცა საჭიროა გამონაკლისის დაშვება, სულ მცირე, განზრახ ქმედებისას.

(1) კანონი არ შეიცავს პირდაპირ რეგულაციას მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით. მართალია კანონმდებელმა დაინახა პრობლემა, თუმცა, როგორც ჩანს მისი გარკვევა მიანდო სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურას (...). დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით, მასალებიდან მხოლოდ ირკვევა, რომ ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობის პრინციპების გათვალისწინებამ, სულ მცირე, საწარმოს ყიდვის შემთხვევებში, ადგილი უნდა დაუთმოს ნასყიდობის სამართლის რეგულაციების გამოყენებას (...). ეს მეტყველებს § 434 ff. BGB-ს სახით უფრო ამომწურავი სპეციალური რეგულაციის არსებობის სასარგებლოდ ვიდრე საწინააღმდეგოდ.

(2) სისტემური და თელეოლოგიური მოსაზრებები ამძაფრებს ამკრძალავი ეფექტის ვარაუდს.

(ა) მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 2001 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედ ვალდებულებით სამართალს ახასიათებდა § 459 ff. BGB a.F.-ის დებულებების ძირითადი უპირატესობა, რომელიც გამოირიცხებოდა მხოლოდ განზრახვის არსებობის შემთხვევაში (შდრ. BGHZ 136, 102; BGHZ 60, 319...)....

ამასობაში, გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე ნასყიდობის სამართლიდან გამომდინარე თავისებურებები, რომლითაც ივარაუდება ამკრძალავი ეფექტის არსებობა. ამით გამყიდველს, ძირითადად, აქვს ნაკლის გამოსწორების უფლება (§ 439 BGB), ხოლო ნაკლის

გამო მოთხოვნის უფლებები, მეტწილად, უკვე გამოირიცხება მყიდველის უხეში გაუფრთხილებლობით არ ცოდნის გამო (§ 442 Abs.1 Satz 2 BGB). ამ სპეციალურ რეგულაციებს საფუძველი გამოეცლებოდა, თუ ხელშეკრულების დადებისას მუდმივად გამოყენებადი იქნებოდა ბრალეულობასთან დაკავშირებული რეგულაციები. გამოდის, რომ კანონმდებელი ამით, რეგულაციის არსის საწინააღმდეგოდ, შემოიღებდა რაღაც ძალზე ზედმეტს, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

(ბ) ამკრძალავი ეფექტის ვარაუდს არ ეწინააღმდეგება ის, რომ ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობიდან და § 437 BGB-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები უკავშირდება პასუხისმგებლობის განსხვავებულ საფუძველებს. ვინაიდან რეკომენდებული თელეოლოგიური დაკვირვებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფორმალურ კავშირს - წინარე-სახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებების დარღვევა § 311 Abs. 2 Nr. 1 BGB-სას, ნივთის ნაკლოვანება § 437 BGB-სას - არამედ გარემოებას, რომ კანონმდებელი წინარე-სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას ნასყიდობის ნივთის თვისებასთან დაკავშირებით უკავშირებს მოგვიანებით დადებულ ხელშეკრულებას (...). ეჭვგარეშეა, რომ ხანდაზმული ხდება § 438 BGB-ის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები თავდაპირველად ნაკლოვანი ნივთის მოწოდების გამო, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების დადებამდე არსებულ გარემოებას (§ 311a Abs. 2 BGB) (...). არ შეიძლება განსხვავებული მოქმედებდეს გამოსწორებადი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება შესრულების საწყის ხელშეშლას. აქედან გამომდინარე, ნივთის თვისებასთან დაკავშირებული განმარტების ვალდებულებები, როგორც ერთ, ისე, მეორე შემთხვევაში, ძირითადად, ექვემდებარება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის აღმოფხვრის სამართალს.

(3) თუმცა ნასყიდობის-სამართლებრივი რეგულაციების უპირატესობა არ მოქმედებს გამონაკლისის გარეშე. გამონაკლისის დაშვება გამართლებულია აგრეთვე ახალი ვალდებულებითი სამართლის მოქმედების პირობებში, ყოველ შემთხვევაში, გამყიდველის ბოროტი განზრახვით (განზრახ) მოქმედებისას. ამ შემთხვევაში, არ გამოიყენება ნასყიდობის სამართლის სპეციალური რეგულაციები, რომლის გვერდის ავლაც არ არის გამორიცხული. ბოროტი განზრახვისას გამოიყენება ჩვეულებრივი ხანდაზმულობის ვადა (§ 438 Abs. 3 Satz 1 BGB). გამყიდველს არ შეუძლია მიუთითოს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაზე (§ 444 BGB). ის პასუხს აგებს აგრეთვე მყიდველის უხეში გაუფრთხილებლობით არ ცოდნაზე (§ 442 Abs. 1 Satz 2 BGB) და, როგორც წესი, კარგავს ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობას (BGH NJW 2007, 835; BGH NJW 2008, 1371). აგრეთვე ახალი ვალდებულებითი სამართლის მიხედვით დაცვას არ საჭიროებს ის გამყიდველი, რომელიც მოქმედებს ბოროტი განზრახვით.

ბ) ნივთობრივი ნაკლის სამართლის მიმართება შეუსრულებელი ხელშეკრულების შეცლიებასა და შესაგებელთან

ერთსულოვანი მოსაზრების მიხედვით, საფრთხის გადასვლის შემდეგ გამოირიცხება შეცლიება საგნის ძირითად თვისებაში შეცდომის გამო (§ 119 Abs. 2 GER-BGB; სკ-ის 74-ე

მუხ. მე-2 ნაწ.), რამდენადაც შეცდომა კავშირშია ნივთობრივ ნაკლთან. ნაწილობრივ არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ, ამ შემთხვევებში, შეცილების უფლებამოსილება გამოირიცხება უკვე საფრთხის გადასვლამდე (შდრ. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით: Pammler in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPKBGB, 8. Aufl. 2017, § 437 BGB Rn. 80). თუმცა უწინდებურად შენარჩუნებულია შეცილების უფლებამოსილება, თუ შეცდომა არ არის კავშირში ნივთობრივ ნაკლთან. აგრეთვე არ გამოირიცხება შეცილების შესაძლებლობა ბოროტი განზრახვით მოტყუებისას (§ 123 GER-BGB), რომელიც გერმანიაში საქართველოსგან განსხვავებულადაა მოწესრიგებული, ვინაიდან მომტყუებელი არ საჭიროებს დაცვას (შდრ. culpa in contrahendo-სთან დაკავშირებით აქვე ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება BGHZ 180, 205).

ძალაში რჩება შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებელი (§ 320 GER-BGB; სკ-ის 369-ე მუხ.), რამდენადაც ნაკლის გამოსწორებით ხდება თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების მოდიფიცირებული ფორმით განხორციელება. თუმცა შესაგებელი გამოირიცხება, რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობა ტოვებს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლების ეტაპს, მაშასადამე, თუ მაგ. ხდება ზიანის ანაზღაურების, შემცირების ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების განხორციელება (შდრ. Pammler in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 437 BGB Rn. 67).

გ) სახელშეკრულებო და დელიქტური ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართება

აა) ზოგადი პრობლემური მდგომარეობა

ძირითად შემთხვევებში, სახელშეკრულებო სამართალი არ ეხება დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს (BGH, Urteil vom 11.12.1991 - XII ZR 269/90 - BGHZ 116, 297; BGH, Urteil vom 28.10.1993 - I ZR 220/91 - BGHZ 123, 394; BGH, Urteil vom 01.02.1996 - I ZR 90/94 - NJW-RR 1996, 1121).

თუმცა გერმანიაში პრობლემატურია ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებებისა და დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართება. პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ეს საკითხი, უპირველეს ყოვლისა, თუ ან არ წარმოშობილა სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ან ხანდაზმულია (უფრო მოკლე ხანდაზმულობის ვადის გამო ან ხანდაზმულობის დაწყებისთვის განსხვავებული წინაპირობების გამო [მაგ. ერთი მხრივ, სკ-ის 655-ე მუხ., ხოლო, მეორე მხრივ, სკ-ის 1008-ე მუხ.])

აქედან გამომდინარე, არსებული სირთულეები წარმოადგენს გერმანული დელიქტის სამართლის ქართულისგან განსხვავებული კონცეფციის შედეგს. თუმცა ამ თემატიკის ძირითადი ბირთვი შეიძლება საქართველოშიც დადგეს დღის წესრიგში, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, საქმე ეხება ეკვივალენტობისა (Äquivalenzinteresse) და ნივთის თვითმყოფადობის შენარჩუნების (Integritätsinteresse) ინტერესების გამიჯვნას და ეს

განსხვავება არსებობს აგრეთვე ქართულ სამართალში. სახელშეკრულებო ნაკლის აღმოფხვრის სამართალი თავდაპირველად იცავს ეკვივალენტობის ინტერესს, მაშასადამე, ინტერესს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების მხარე მიიღებს ვალდებულებით გათვალისწინებულ საპირისპირო შესრულებას, მაშასადამე ნივთობრივი და სამართლებრივი ნაკლისგან თავისუფალ შესრულებას. სამაგიეროდ, დელიქტური სამართალი უზრუნველყოფს არსებული აქტივების შენარჩუნებას; გერმანიაში, ეს, როგორც წესი, ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რამდენადაც ეს აქტივები არსებობს აბსოლუტურად დაცული უფლების ფორმით. როგორც ამ დაცული ნივთის თვითმყოფადობის ინტერესში ჩარევა, გერმანული სამართლის გადმოსახედიდან გამომდინარე არ არის სახეზე, როდესაც შესრულების საგანი, ნაკლოვანი იყო უკვე საფრთხის გადასვლის დროს, მაშასადამე, არ ყოფილა სახეზე ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება. აქედან გამომდინარე, არ არის სახეზე - არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამაუარესებელი - ჩარევა უფლების სფეროში და შედეგად არც დელიქტური სამართლის მიერ დაცული ნივთის თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესის დარღვევა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე გერმანიაში აკეთებენ შემდეგ დასკვნებს:

ნაკლის აღმოფხვრის სახელშეკრულებო სამართალი, ძირითადად, არ ეხება დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს, ვინაიდან საწყის ეტაპზე ხდება სხვადასხვა უფლების სფეროს დაცვა. ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის ის, რომ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების არსებობისას, ნაწილობრივ ვიღებთ გადაფარვას ნაკლის აღმოფხვრის სამართალსა და დელიქტურ სამართალს შორის; კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი ზიანი არ შემოიფარგლება უშუალოდ ნაკლიდან გამომდინარე ეკონომიკური დანაკარგებით, არამედ, ადგილი აქვს, აგრეთვე არაპირდაპირ შედეგობრივ ზიანს. განსაკუთრებით საინტერესო ხდება გერმანიაში სამართლებრივი სიტუაცია ე. წ. პროგრესირებადი ზიანისას ([weiterfressender Schaden] – ზიანი, რომელიც დგება, როდესაც, თავდაპირველად, ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს აღენიშნება ნაკლი, თუმცა, რომელიც შემდგომ აზიანებს სხვა ნაწილებსაც). ამ პრობლემის უკეთ გასაგებობისთვის წარმოგიდგენთ ერთ მაგალითს (BGH, Urteil vom 28.10.2010 - VII ZR 172/09 - NJW 2011, 594):

მოსარჩლემ დაუკვეთა მოპასუხეს, რომელსაც აქვს ავტომანქანების სახელოსნო, დაზიანებული საწვავის ტუმბოს შეკეთება. შეკეთებული ტუმბოს ჩასმისას მოპასუხემ ვერ შენიშნა, რომ ტუმბოს სარქველში ჩარჩა ე. წ. ფიქსატორი. ამის შედეგად საწვავის ტუმბო მთლიანად განადგურდა ერთ-ერთი მგზავრობის დროს; საჭირო გახდა ავტომანქანის ევაკუატორით გადატანა. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით, მათ შორის, განმარტავს:

„ა) ძირითადად, BGB § 823 პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება (ავტორის მითითება: დელიქტი) სხვისი საკუთრების დაზიანების გამო, შეიძლება მაშინაც იყოს სახეზე, თუ ზიანის მომტანი ქმედება ან ქმედებისგან თავის შეკავება ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რომლისგანაც გამომდინარეობს ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებები. მაგრამ არ არის სახეზე BGB § 823 Abs. 1-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, რამდენადაც მითითებული ზიანი გამოხატავს მხოლოდ ნაკლოვანებაზე დაფუძნებული ნივთის გამოუსადეგარობას შემძენის გამოყენებისა და

ეკვივალენტობის ინტერესისთვის. სამაგიეროდ, გასათვალისწინებელია § 823 Abs. 1 BGB-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, რამდენადაც ეს ასე არ არის, მაშასადამე, მითითებული ზიანი არ არის თვისობრივად იდენტური იმ ნაკლისა, რომელიც გააჩნდა ნივთს თავდაპირველად. ნაკლოვანი შეკეთებისას მოცემულია მასალის იდენტურობა და აქედან გამომდინარე, არ არსებობს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, თუ ნივთის ნაკლი ფარავს საკუთრებისადმი მიმდგარ ზიანს, ვინაიდან ეს ზიანი უნდა დაუკავშიროთ მხოლოდ იმედგაცრუებულ სახელშეკრულებო მოლოდინს. დელიქტის სამართლის მოვალეობა არ არის, რომ დაიცვას დამკვეთის მოლოდინი ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით და ამის გამო დადგება ის წარმატება, რომლის დადგომასაც მიზნად ისახავს შეკეთების ღონისძიება. ძირითადად არ არსებობს § 823 Abs. 1 BGB-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, რამდენადაც მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით ხდება დაკვეთილი შესრულების ნაკლის აღმოფხვრისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება (BGHZ 162, 86).

ბ) ამ შემთხვევაში, მოსარჩელის ნაკლოვანი შესრულების გამო ნივთის გაუფასურება თანხვედრაშია მოსარჩელის ზიანთან. მოპასუხე, მხარეებს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებული იყო შეეკეთებინა დაზიანებული საწვავის ტუმბო და ისე ჩაედო ის კუთვნილ ადგილას, რომ ფუნქციურად გამოსადეგი ყოფილიყო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მან, სააპელაციო სასამართლოს დასკვნის მიხედვით, ნაკლოვანად შეასრულა მისი სახელშეკრულებო ვალდებულების ეს ბოლო ნაწილი, ვინაიდან საწვავის ტუმბოს გარეკანში ჩატოვა ფიქსატორი. მოპასუხის ნაკლოვან შესრულებას, კასაციის მოპასუხის აზრის საწინააღმდეგოდ, არ გამოუწვევია მატერიის დაზიანება მოსარჩელის დანარჩენ საკუთრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი ავტომანქანის ძრავის დაზიანება. ის, რომ ავტომანქანა ველარ დაიქოქა, წარმოადგენს ფუნქციურ ხელშეშლას და არა მატერიის დაზიანებას. ნივთობრივი ზიანი წარმოიშვა, მეტადრე, საწვავის ტუმბოზე, რომელიც მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულებების საწინააღმდეგოდ არ იყო ფუნქციურად გამოსადეგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საქმის ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ვერ დადგება მხარის პასუხისმგებლობა დელიქტიდან გამომდინარე.“

სხვაგვარად იქნებოდა საქმე გერმანული სამართლის გადმოსახედიდან, თუ - როგორც გერმანიაში ამბობენ - “პროგრესირებადი იქნებოდა“ ნივთობრივი ნაკლი, მაშასადამე, თუ ის გამოიწვევდა, იმ საგნის მატერიის დაზიანებას, რომელიც არ წარმოადგენდა სახელშეკრულებო შესრულების საგანს. თუ, მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, ფიქსატორი გახვრეტდა საწვავის მილს, რის შედეგადაც ავტომანქანას გაუჩნდებოდა ცეცხლი, რის გამოც ის ბოლომდე განადგურდებოდა, ამით მივიღებდით მატერიის დაზიანებას მსუბუქ ავტომანქანაზე, რაც წარმოშობდა დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს (თუმცა არა საწვავის ტუმბოსთან დაკავშირებული ზიანის გამო).

უმაღლესი ფედერალური სასამართლო აბსტრაქტულად ასხვავებს იმისდა მიხედვით, რამდენად იყო შეძენის მომენტისთვის მთლიანი ნივთის ნაწილი დაზიანებისგან თავისუფალი (BGH, Urteil vom 12.12.2000 - VI ZR 242/99 - BGHZ 146, 144; BGH, Urteil vom 31.03.1998 - VI ZR 109/97 - BGHZ 138, 230; BGH, Urteil vom 18.01.1983 - VI ZR 310/79 - BGHZ

86, 256). თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ზოგჯერ რთულია ამის გამიჯვნა. მაშინ, როდესაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, მაგ. ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში, საწვავის ტუმბოს ნაკლოვანებისას, ვარაუდობს, სხვა მხრივ, „დაუზიანებელი“ ძრავის არსებობას, ნაკლოვანი ტრანზისტორების ჩადგმისას, სხვა მხრივ, უნაკლო მართვის სისტემაში, ის ვარაუდობს, რომ უკვე დაერთების მომენტშივე დგება საკუთრების დაზიანება მოცემულ მომენტამდე სრულფასოვან ნაწილებთან დაკავშირებით და ამით არ არის სახეზე თვითმყოფადობის ინტერესის დარღვევა (BGHZ 138, 230). უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით ანალოგიური მოქმედებს შენობის ზიანთან დაკავშირებით, რომლის აშენებაც ხდება განაშენიანებისთვის იმთავითვე გამოუსადეგარ ფუნდამენტზე (BGHZ 146, 144). სხვა საკითხია, არის თუ არა ეს საკითხები, მათი კომპლექსურობიდან გამომდინარე ყოველთვის გასაგები.

ბბ) სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების სამართლის გავლენა დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სამართალზე

(1) პასუხისმგებლობის მასშტაბი

პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების სამართალი გავლენას არ ახდენს დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე, ირღვევა სპეციალური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბებისას. მართალია დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები თვითმყოფადობის ინტერესის დაცვის მაღალი საჭიროების გამო მაშინაც კი არ განიდევენა, როდესაც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბი განსხვავდება კანონისმიერი პასუხისმგებლობის მასშტაბისგან. თუმცა, როგორც წესი, გერმანიაში, დასაწყისში (ქვეპუნქტი II) დასახელებული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობებიდან ირჩევენ ხოლმე საშუალო ვარიანტს: მართალია მოთხოვნის უფლებები ერთმანეთის პარალელურად არსებობს, თუმცა, იმისთვის, რომ მოხდეს თავიდან აცილება, რომ სპეციალურ სახელშეკრულებო რეგულაციაში ჩადებულ შეფასებით გადაწყვეტილებას გამოეცალოს საფუძველი დელიქტიდან გამომდინარე ზოგადი პასუხისმგებლობის მასშტაბის გამოყენებით, აქედან გამომდინარე, მასზე, როგორც წესი, ვრცელდება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბი. მაგ. საკუთარი გულმოდგინების სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბი (*diligentia quam in suis*) გადადის დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე (BGH, Urteil vom 20.12.1966 - VI ZR 53/65 - BGHZ 46, 313; BGH, Urteil vom 03.02.1998 - X ZR 27/96 - NJW 1998, 2282); მაგალითად პარტნიორებს შორის პასუხისმგებლობისას (§ 708 GER-BGB; მსგავსია უსასყიდლოდ საქმის გაძღოლისას ქართულ სამართალში [თუმცა ნაცვლად *diligentia quam in suis*-სა უხეში გაუფრთხილებლობა] სკ-ის 934-ე მუხ. მე-5 ნაწ. 719-ე მუხ. ერთად), შემსრულებლის პასუხისმგებლობისას საქმის მართებელი შესრულებისას, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით (§ 680 GER-BGB; სკ-ის 970), ან შემნახველის პასუხისმგებლობისას ნივთის უსასყიდლოდ შენახვისას (§ 690 GER-BGB; შინაარსობრივად

იდენტურია სკ-ის 765-ე მუხ.). სადავოა გერმანულ სამართალში, რამდენად მოიცავს გამნათხოვრებლის უხეში გაუფრთხილებლობითა და განზრახვით შემოფარგლული სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბი (§ 599 GER-BGB; შინაარსობრივად იდენტურია სკ-ის 616-ე მუხ.) აგრეთვე დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (აქტუალურ მოსაზრებასთან დაკ. შდრ.: Colling in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 599 BGB Rn. 13 ff.). საერთო ჯამში, განმარტების საკითხია მოიცავს თუ არა ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული პასუხისმგებლობის მასშტაბი აგრეთვე დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს, თუმცა, როგორც წესი, ივარაუდება, რომ ეს მართლაც ასეა (შდრ. აგრეთვე BGH NJW 1998, 2282).

(2) ხანდაზმულობა

მოკლე ხანდაზმულობის ვადები, ძირითადად, არ უნდა იქნეს გამოყენებული დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებზე (BGH, Urteil vom 11.12.1991 - XII ZR 269/90 - BGHZ 116, 297; BGH, Urteil vom 17.03.1987 - VI ZR 282/85 - BGHZ 100, 190; BGH, Urteil vom 04.03.1971. VII ZR 40/70 - BGHZ 55, 392). ამის საწინააღმდეგოდ უკვე მეტყველებს ზემოთხსენებული სტრუქტურული განსხვავებები (ეკვივალენტობის ინტერესი, თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესი), თუმცა აგრეთვე ბრალეულობისას მტკიცების ტვირთის განსხვავებული პრინციპები (გამართლება (ექსკულპაცია); სრული მტკიცების ტვირთი, საჭიროების შემთხვევაში, აშკარა მტკიცებულების არსებობით გამოწვეული მტკიცების ტვირთის შემსუბუქებით). გარდა ამისა, სახელშეკრულებო და დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო მათი ხანგრძლივობის კუთხით, არამედ - დელიქტის შედეგად დაზარალებული პირის დასაცავად - უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ დელიქტიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადას წაეყენება მაღალი მოთხოვნები (შდრ. ქართულ სამართალში, ერთი მხრივ, სკ-ის 1008-ე მუხ., ხოლო, მეორე მხრივ, 130-ე მუხ.).

თუმცა ქირავნობის ნივთის დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობისგან (§ 548 GER-BGB; სკ-ის 573-ე მუხ. პირველი ნაწ.) არსებობს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გამონაკლისი. შესაბამისად, გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისთვის არსებობს ექვსთვიანი მოკლე ხანდაზმულობის ვადა, რომლის დენაც იწყება ქირავნობის ნივთის დაზარუნების მომენტიდან (კანონის ტექსტის მიხედვით მსგავსია სკ-ის 573-ე მუხ. მე-2 ნაწ.). ხანდაზმულობის ეს ვადა გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ გამოიყენება აგრეთვე დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას (BGH, Urteil vom 21.03.1997 - V ZR 217/95 - BGHZ 135, 152; BGH, Urteil vom 29.03.1978 - VIII ZR 220/76 - BGHZ 71, 175; BGH, Urteil vom 23.05.2006 - VI ZR 259/04 - NJW 2006, 2399). ამის სასარგებლოდ უკვე მეტყველებს ამ დანაწესის წარმოშობის ისტორია და გერმანელი კანონმდებლის შესაბამისი

ნება. თუმცა ეს სასამართლო პრაქტიკა ლოგიკურია აგრეთვე სამართლის დოგმატიკის მიხედვით, ვინაიდან ქირავნობის ნივთის მიღება ხელშეკრულების შესაბამისად (ეგრეთწ. ნივთის მიღების ვალდებულება), შედის მოქირავნის ძირითად ვალდებულებაში და ამით ეკვივალენტობის ინტერესი ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით თანხვედრაშია არსებული უფლებების თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესთან. ამას ემატება ისიც, რომ ქირავნობის ხელშეკრულებისას, როგორც წესი, (რამდენადაც გამქირავებელს აქვს სამართლებრივად გამყარებული პოზიცია ქირავნობის ნივთთან დაკავშირებით) სახეზეა, როგორც ხელშეკრულებიდან, აგრეთვე დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები და ამით თითქმის ბოლომდე გამოეცლებოდა საფუძველი, ქირავნობის ხელშეკრულების განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, კანონმდებლის გადაწყვეტილებას მოკლე ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, რამდენადაც დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისას შენარჩუნებული იქნებოდა ძირითადი ხანდაზმულობის ვადა. ეს პრინციპები, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოქმედებს აგრეთვე იმ პირების მიმართ, რომლებიც როგორც მესამე პირები ერთვეებიან ქირავნობის ხელშეკრულების დაცვის სფეროში, მაშასადამე ოჯახში შემავალი პირების მიმართ, განსაკუთრებით ოჯახის წევრების მიმართ (BGH NJW 2006, 2399).

მეორე მხრივ, დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისთვის იმ შემთხვევაშიც კი მოქმედებს დელიქტისთვის დაწესებული ხანდაზმულობის ვადა, თუ ეს მოთხოვნის უფლებები ემთხვევა ზიანის ანაზღაურებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის გამო, რომელიც §§ 439, 414 GER-HGB-ის მიხედვით ხანდაზმულია ერთი წლის გასვლის შემდეგ (BGH, Urteil vom 11.12.1991 - XII ZR 269/90 - BGHZ 116, 297). ამის დასაბუთება ხდება იმით, რომ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას (განსხვავებით ქირავნობის ხელშეკრულებისგან), ერთმანეთისგან განსხვავდება, ერთი მხრივ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როგორც ნორმის წინაპირობის კუთხით, აგრეთვე სამართლებრივი შედეგების კუთხით.

დ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართემა უსაფუძვლო გამდიდრებიდან და დავალების გარეშე სხივის საქმის შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებთან

იმის თავიდან ასაცილებლად, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლებებით საფუძველი გამოეცალოს სახელშეკრულებო შეფასებებს, სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები განდევნის უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე ყველა შესაძლებელ მოთხოვნას, აგრეთვე, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებებს (საყოველთაო მოსაზრება; შდრ. შემაჯამებლად: Martinek in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8.

Aufl. 2017, § 812 BGB Rn. 172 ff.). თუმცა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის გამოყენებადობა არ გამოირიცხება იმით, რომ § 546a GER-BGB-ის მიხედვით (შინაარსობრივად მსგავსია სკ-ის 567-ე მუხ. პირველი ნაწილის) წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ მოქირავნე არ დააბრუნებს ქირავნობის ნივთს ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ (BGH, Urteil vom 10.11.1965 - VIII ZR 12/64 - BGHZ 44, 241; BGH; Urteil vom 12.07.2017 - VIII ZR 214/16 - NJW 2017, 2997). არ იქნებოდა გამართლებული ქმედება, თუ მოქირავნეს დარჩებოდა მისი არამართლზომიერი ქცევის შედეგად უსაფუძვლოდ მიღებული ის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც სცდება გამქირავებლისთვის მიმდგარ ზიანს. მეორე მხრივ, აკრძალულია უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება სახელშეკრულებო სამართლის უპირატესობის გამო ქირავნობის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხანდაზმულია (BGH, Urteil vom 13.05.1987 - VIII ZR 136/Z86 - BGHZ 101, 37; BGH, Urteil vom 08.07.1981 — VIII ZR 326/80 - BGHZ 81, 146) დამქირავებლის მოთხოვნის უფლება ქირავნობის ნივთისათვის მიმატებულ ნივთებზე (§ 539 Abs. 2 GER-BGB; შინაარსობრივად იდენტურია სკ-ის 546-ე მუხ. პირველი ნაწილის). აგრეთვე სანივთო ნაკლთან დაკავშირებული რეგულაციები განდევნის უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს. ეს მოქმედებს აგრეთვე, რამდენადაც არ არის სახეზე სანივთო ნაკლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის წინაპირობები, რადგან მაგ. მყიდველს, მოქირავნეს ან დამკვეთს გამორჩა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება (ნაკლის დროულად გაპროტესტება, მოწოდება ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ა.შ.). უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 23.02.2005 - VIII ZR 100/04 - BGHZ 162, 219) ამასთან დაკავშირებით (და აგრეთვე დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მიმართ), მათ შორის, აცხადებს:

„...ნაკლის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურების გამორიცხვა, რამდენადაც მყიდველმა გამყიდველს ნაკლის აღმოფხვრისთვის არ განუსაზღვრა საჭირო ვადა, თანხვედრაშია ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე დაფუძნებულ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკასთან ნარდობის ხელშეკრულების სამართლის შესახებ. ამის მიხედვით, დამკვეთის მოთხოვნის უფლება ნაკლის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ის არ წარმოშობილა ნარდობის ხელშეკრულების სამართლიდან გამომდინარე, ვერ დაეფუძნება აგრეთვე უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ან დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების სამართლის რეგულაციებს, ვინაიდან ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული რეგულაციები შეიცავს სპეციალურ საბოლოო რეგულაციას (...BGHZ 92, 123; BGHZ 96, 221...). ამით დამკვეთს უარი ეთქმის მეწარმის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლების არსებობაზე ამ უკანასკნელის მიერ დაზოგილ ნაკლის გამოსწორების ხარჯებთან დაკავშირებით. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ იმით დაასაბუთა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის აღმოფხვრის რეგულაციების უპირატესობა, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან ან დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების დაშვება, გამოიწვევდა გაუგებრობებსა და სირთულეებს, რაც რომ ზუსტადაც უნდა

გამორიცხოს ნარდობის ხელშეკრულების რეგულაციების გამოყენებით; ვინაიდან ნაკლი უკვე აღმოფხვრილია, მისი მოცულობისა და სირთულის და აგრეთვე ნაკლის აღმოფხვრის მითითებული ხარჯების მიზანშეწონილობის საიმედოდ გადამოწმება ხშირად აღარ არის შესაძლებელი...“.

ე) ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაბრუნების მოთხოვნის უფლების მიმართება ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებასთან ქირავნობის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ

ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ერთმანეთის პარალელურად არსებობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ქირავნობის ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებით (§ 546 GER-BGB) და სანივთო მოთხოვნის უფლება საკუთრებიდან გამომდინარე ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებით (§ 985 GER-BGB) (BGH, Urteil vom 27.09.2017 - VIII ZR 243/16 - BGH NJW-RR 2018, 15; BGH, Urteil vom 19.06.2008 - IX ZR 84/07 - NJW 2008, 2580).

ვ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მოთხოვნის უფლებებთან

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მოთხოვნის უფლებებთან, გერმანიაში განეკუთვნება ყველაზე პრობლემურ კონსტელაციას მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის სფეროში. ერთ მხრივ, ცალსახაა, რომ არ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მოთხოვნის უფლებები, რამდენადაც სახეზეა ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულება - და, აქედან გამომდინარე, „დავალება“. თუმცა, მეორე მხრივ, პრობლემატურია, გამოიყენება თუ არა საერთოდ დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების წესები და თუ გამოიყენება რა მოცულობით, რამდენადაც სახეზეა შესრულება სავარაუდო (თუმცა ფაქტობრივად არ არსებული) სახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით, ან თუ მართალია სახეზეა სახელშეკრულებო შეთანხმება, თუმცა მისგან ან საერთოდ ვერ ამოვიყვანთ მოთხოვნის უფლებას, ან სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება კრედიტორისთვის, შინაარსობრივი კუთხით, არ იქნებოდა უფრო ხელსაყრელი, ვიდრე დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება.

ვინაიდან აქ ვერ წარმოგიდგენთ ყველა შესაძლო კონსტელაციას, მსურს მოკლედ აღვნიშნო, რომ გერმანულ სასამართლო პრაქტიკას, მსგავსი კონსტელაციებისას, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების გამოყენების სფერო (მიუხედავად იმისა, რომ კანონის ტექსტი უფრო ფართო გაგების შესაძლებლობას იძლევა) მიაჩნია მხოლოდ ძალზე შეზღუდულად გამოყენებადად. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცევა იმას, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მოთხოვნის უფლებები არ იქცეს „ზოგად ნორმებად“ რომლის გამოყენებაც მოხდება ყველა იმ კონსტელაციისას, რომლისთვისაც არ მოიძებნება

მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი. ტენდენციურად, მეტადრე ვარაუდობენ, რომ მსგავსი კონსტელაციებისას, მოთხოვნის უფლების არ მინიჭება ეფუძნება კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას. საჭიროა ღირებულებებზე დაფუძნებულ ამ გადაწყვეტილების პატივისცემა; დაუშვებელია დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების სამართლის გამოყენებით საფუძველი გამოეცალოს მას, ან სულაც მოხდეს საპირისპიროს გამოყენება.

მაგალითის სახით ამის წარმოდგენა უკვე მოხდა ზემოთ („დ“ ქვეპუნქტში), იმ შემთხვევისთვის, როდესაც ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილება არ წარმოშობს ხარჯების ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლების წინაპირობებს (BGHZ 162, 219). ამ გადაწყვეტილებაში მოცემული პრინციპები მოქმედებს აგრეთვე სახელშეკრულებო შესრულების ხელშეშლის სამართალსა და დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების სამართლის ურთიერთმიმართებისას. რაოდენ კომპლექსური შეიძლება გახდეს სიტუაცია გერმანულ სამართალში, როდესაც საქმე ეხება სამ პირს შორის ურთიერთობას, შეგიძლიათ შეიტყოთ ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითიდან (BGH, Urteil vom 21.10.2003 - X ZR 66/01 - NJW-RR 2004, 81)

(შენიშვნა: ფაბულა მცირედით მოდიფიცირებული და გამარტივებულია):

მოსარჩელემ მოგვიანებით გადახდისუუნარო შპს ბინათმშენებლობის ამხანაგობასთან (შემდგომში ბინათმშენებლობის ამხანაგობა) მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აიღო სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვალდებულება საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებას. ბინათმშენებლობის ამხანაგობას მოსარჩელისთვის სანაცვლოდ 15 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა „სარგებლობის საფასურად“ წოდებული საზღაური. სადავოა გარემოება, მოქმედებდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა შეკვეთის მიცემისას, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენელი, თუ საკუთარი სახელით. ბინათმშენებლობის ამხანაგობის ქონებასთან დაკავშირებით გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ მოსარჩელემ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულისგან მოითხოვა დარჩენილი გადახდების განხორცილება. საკასაციო ინსტანციისთვის, არც სავალდებულოდ იყო დადგენილი, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობას გააჩნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ხელშეკრულების დადებისას მისი სახელით მოქმედებდა, და არც ის, რომ ეს ასე არ იყო. აქედან გამომდინარე, უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს საქმე უნდა შეემოწმებინა ყველა შესაძლო კონსტელაციის კუთხით. მან, ამასთან დაკავშირებით, მათ შორის, განაცხადა:

„ა) აა) ბინათმშენებლობის ამხანაგობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის შემთხვევაშიც კი უპირობოდ არ გამოირიცხება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები (§§ 677, 683 BGB), რამდენადაც შემსრულებელი (როგორც „ვალდებულებებით შებოჭილი“) მესამე პირის მიმართ (მოცემულ შემთხვევაში ბინათმშენებლობის ამხანაგობა) ვალდებულია აწარმოოს საქმე, რამდენადაც ის მოქმედებს მხოლოდ (აგრეთვე) მეპატრონის წინაშე (მოცემულ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული)....“

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (...BGHZ 114, 248; BGHZ 140, 102...) დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციების გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ, რომ შემსრულებელი „სხვისთვის“ აწარმოებდეს საქმეს. ეს შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში იყოს სახეზე, რამდენადაც ის საქმეს აწარმოებს არა (მხოლოდ) ისე როგორც საკუთარს, არამედ (აგრეთვე) ისე როგორც სხვისას, მაშასადამე იმ ცოდნითა და სურვილით, რომ მისი მოქმედება, სულ მცირე, შედის აგრეთვე სხვის ინტერესებში. ამასთან კავშირში განასხვავებენ ობიექტურად და სუბიექტურად სხვის საქმეებს შორის. ობიექტურად სხვისი საქმეებისას, რომელიც უკვე მისი შინაარსიდან გამომდინარე ერევა სხვის უფლებათა და ინტერესთა წრეში (მაგ. დაშვებულისთვის დახმარების აღმოჩენა, BGHZ 33, 251; განათების გარეშე მოძრავი ავტომობილისგან გამომდინარე საფრთხის თავიდან აცილება BGHZ 43, 188...), როგორც წესი, ივარაუდება სხვისი საქმის წარმოების საკმარისი ნება. ეს, ძირითადად, მოქმედებს აგრეთვე საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც ერთდროულად, როგორც ობიექტურად საკუთარი აგრეთვე ობიექტურად სხვისი საქმეა. ამასთან შესაძლოა საკმარისი იყოს, რომ საქმე მისი გარეგნული გამოხატულებიდან გამომდინარე შედიოდეს, როგორც შემსრულებლის აგრეთვე მესამე პირის ინტერესში (...BGHZ 98, 235; BGHZ 140, 102), განსაკუთრებით, როდესაც მათი ინტერესები მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით წინა პლანზეა წამოჩენული, ან საერთოდან განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობს. სამაგიეროდ, ობიექტურად საკუთარი ან ნეიტრალური საქმეები (მათ სუბიექტურ) სხვისი საქმის ხასიათს, ყველა შემთხვევაში, იძენს შემსრულებლის ნების საფუძველზე სხვისი ინტერესების უპირატესად განხორციელებით. ამისთვის, ძირითადად, არ არსებობს ფაქტობრივი ვარაუდი; ნება, მსგავსი საქმის, პირველ რიგში, ან, სულ მცირე, თანადროულად აგრეთვე სხვისთვის შესრულებასთან დაკავშირებით, მეტადრე, საკმარისად გასაგებად უნდა იქნეს გამოხატული გარეშე მდგომარეობისთვის (...BGHZ 114, 248...).

ბბ) ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციების შესაბამისად, ძირითადად, არ არის სახეზე იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო სამართლის სპეციალური დებულებები განსხვავებულად აწესრიგებს შემსრულებელსა და პატრონს შორის ურთიერთობას. ანალოგიური მოქმედებს, როდესაც კანონი, მოქმედების განმახორციელებელ პირს ავალდებულებს უსასყიდლო შესრულებას, განსაკუთრებით, როდესაც მან თვითონ უნდა იტვირთოს ხარჯების გადახდა მისი განსაკუთრებული ვალდებულებიდან გამომდინარე (შდრ. BGHZ 40, 28), ან თუ საჯარო სამართლის წესები ითვალისწინებს ამომწურავ რეგულაციას, რომელიც კრძალავს დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების პრინციპების გამოყენებას (BGHZ 140, 102...).

გგ) უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, სხვისი საქმის წარმოება შეიძლება აგრეთვე მაშინაც იყოს სახეზე, თუ შემსრულებელი ვალდებულია მესამე პირის წინაშე აწარმოოს საქმე (BGHZ 143, 9, ...BGHZ 140, 102). თუმცა, მსგავს შემთხვევებში, გამოირიცხება მეპატრონის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლების განხორციელება, რამდენადაც ვალდებულება ეფუძნება მესამე პირთან სამართლებრივად ნამდვილად დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ყოვლისმომცველად აწესრიგებს შემსრულებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, განსაკუთრებით კი ანაზღაურების საკითხს (...). ანაზღაურების საკითხის მსგავსი ყოვლისმომცველი დარეგულირება

ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ძირითადად, ამომწურავია შესაბამისად განხორციელებული შესრულებების კომპენსაციის კუთხით აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში. გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წვდომას ხელს უშლის მხარეთა ავტონომიიდან გამომდინარე სახელშეკრულებო უფლებების უპირატესობა კომპენსაციის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს განხორციელებული შესრულებიდან გამომდინარე მესამე პირების მიერ მიღებული სარგებლიდან, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების უშუალო მონაწილეები. ხელშეკრულების მხარე შეთანხმებული საზღაურით იღებს საფასურს, რომელსაც ის შეიძლება მოელოდეს კერძო სამართლის წესების მიხედვით. თუ მხარეებს სურთ, რომ დადგეს მესამე პირის თანაპასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურთან დაკავშირებით, მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ ამას მიაღწიონ მასთან შეთანხმებით, უპირველეს ყოვლისა, შეთანხმებაში მისი ჩართვით. ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის ხელშეკრულების მხარის მოგვიანებით დამდგარი გადახდის უუნარობა; იმ გეგმაზომიერების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს კანონს, ის არ იძლევა მესამე პირების მიმართ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დასაბუთების საფუძველს. დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების ინსტიტუტის მიზანს არ წარმოადგენს მხარეთა გადახდის უუნარობის რისკების შესრუტვა და შემდგომ მათი მესამე პირებზე გადატანა.

დდ) სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნებიდან, უპირობოდ გამომდინარეობს, რამდენადაც ამოვალთ ბინათმშენებლობის ამხანაგობასთან ხელშეკრულების დადებიდან, რომ გადაცემის შეთანხმებაში ყოვლისმომცველად მოქმედებდა საზღაურის საკითხი. აქედან გამომდინარე თავიდანვე გამოირიცხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის წინააღმდეგ საზღაურის გადახდის მოთხოვნის უფლებები.

ბ) აა) თუმცა განსხვავებული მოქმედებს, თუ ბინათმშენებლობის ამხანაგობამ იმოქმედა, როგორც მინდობილობის გარეშე წარმომადგენელმა და მის წინააღმდეგ მოთხოვნის განხორციელება შეიძლება დაეფუძნოს არა ხელშეკრულებას, არამედ მხოლოდ § 179 BGB-ს დებულებას (მითითება: ძირითადად მსგავსია სკ-ის 113-ე მუხლის). როგორც უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ უკვე გადაწყვიტა, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები § 179 BGB-ის მიხედვით შეიძლება არსებობდეს ერთმანეთის პარალელურად (BGH NJW-RR 1989, 970)...“.

თუ სახელშეკრულებო შეთანხმება ბათილია, თუმცა შეუმჩნევლად და თუ შედეგად არ გამოიყენება შესრულების სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები ან სახელშეკრულებო შესრულების ხელშემშლის სამართალი, ამ შემთხვევაში, ძირითადად, გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციები. შედეგად, პრობლემა გადაინაცვლებს დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციების გამოყენების სფეროსა და უსაფუძვლო გამდიდრების სფეროს შორის ურთიერთმიმართების ფარგლებში. ამასთან, მსგავს კონსტელაციებში, იმდენადაა შენარჩუნებული სახელშეკრულებო სამართალთან კავშირი, რამდენადაც ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ოდენობის ზედა ზღვარი განისაზღვრება ბათილი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სავარაუდო საზღაურის მოთხოვნის უფლების ოდენობით. ამით - რაც

სისტემის საწინააღმდეგო იქნებოდა - თითქოს თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რომ დავალების გარეშე შემსრულებელი, ბათილი ხელშეკრულებისას, საერთო ჯამში, მიიღებს უფრო მაღალ ფინანსურ საპირისპირო შესრულებას, ვიდრე ეს მოხდებოდა ნამდვილი ხელშეკრულების შემთხვევაში. ეს პრინციპები, შეჯამებულად წარმოდგენილია ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მენაშენის მიერ სამშენებლო სამუშაოების შეუმჩნევლად განხორციელება ბათილი ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 30.09.1993 - VII ZR 178/91 - NJW 1993, 3196) ამასთან დაკავშირებით, მათ შორის, განმარტავს: „ა) უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ხელშეკრულების ბათილობისას შეუზღუდავად შეიძლება §§ 677 ff BGB-ის (მითითება: დაახლოებით შეესაბამება სკ-ის 969-ე და მომდ. მუხლებს) პრინციპების გამოყენება, რამდენადაც სახეზეა ამ პრინციპების სხვა დანარჩენი წინაპირობები (... BGHZ 101, 393; BGHZ 111, 308...). თუ შემსრულებელი მიიჩნევს, რომ მას აქვს შესრულების ვალდებულება, მხოლოდ ეს როდი გამორიცხავს §§ 677 ff BGB-ის გამოყენებადობას (...). თუ სახეზეა დავალების გარეშე სხვისი საქმის მართებული წარმოება, სხვისი უფლებების წრეში შემსრულებლის მოქმედებისთვის არსებობს სამართლებრივი საფუძველი იმ შედეგით, რომ შემსრულებელი ვერ განახორციელებს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს (BGH NJW 1969, 1205...). სამშენებლო კომპანიას §§ 683 Satz 1, 670 BGB-ის მიხედვით შეუძლია მოითხოვოს საყოველთაოდ მიღებული საზღაური, რამდენადაც ხელშეკრულების ფასი არ არის ამ საზღაურზე უფრო დაბალი (BGH BauR 1992, 761).“

2. ხელშეკრულების მიღმა არსებული მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართება

ხელშეკრულების მიღმა არსებული მოთხოვნის უფლებების ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, პრობლემატურია ურთიერთმიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებას, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალსა და მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობას შორის. სამაგიეროდ, ძირითადად, ხელშეუხებელია დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები და სანივთო მოთხოვნის უფლებები (საკუთრებიდან ან მფლობელობიდან გამომდინარე ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებები; მოთხოვნის უფლებები საკუთრების და მფლობელობის ხელშემლიდან გამომდინარე) ხელშეკრულების მიღმა არსებული სხვა მოთხოვნებისგან. მხოლოდ სამეზობლო სამართლის რეგულაციებიდან გამომდინარე შეზღუდვები უფლების განხორციელებისას ვრცელდება აგრეთვე იმ სანივთო მოთხოვნის უფლებებზე, რომელიც უშუალოდ არ ეფუძნება სამეზობლო სამართალს.

ა) სამეზობლო სამართალი

ზოგადი მოსაზრების მიხედვით, საკუთრებიდან ან მფლობელობის ხელშემლიდან გამომდინარე ზოგადი სანივთო მოთხოვნის უფლების საფუძველები (მაგ. § 1004 GER-BGB, §

861 GER-BGB; მოწესრიგების შინაარსის მიხედვით [თუმცა ნაწილობრივ არა სამართლებრივი შედეგების მიხედვით] მსგავსია სკ-ის 172-ე მუხ. მე-3 ნაწ., 161-ე მუხ.) გამოყენებადია აგრეთვე სამეზობლო სამართლის სფეროში (ამ სფეროსთვის მოქმედი რეგულაციების პარალელურად) (BGH, Urteil vom 14.11.2003 - V ZR 102/03 - BGHZ 157, 33). თუმცა შინაარსობრივად, ამ მოთხოვნის უფლებებისას, სამეზობლო სამართლის რეგულაციებით, მაშასადამე მაგ. სკ-ის 174-ე და მომდევნო მუხ. ან შესაბამისად გერმანული სამართლის შესაბამის ნორმებით და სასამართლო პრაქტიკის პრინციპებით განისაზღვრება, თუ რომელი ხელშეშლის მოთმენა შეიძლება და რომლის არა.

ამ ორივე მოთხოვნის უფლების ერთმანეთის პარალელურად არსებობას, უპირველეს ყოვლისა, შედეგად მოჰყვება ის, რომ სამეზობლო სამართლის თვითდახმარების უფლება § 910 GER-BGB-ის მიხედვით (ქართულ შესატყვისთან დაკ. შდრ. სკ-ის 178-ე მუხ. მე-2 ნაწ.) არ განდევნის უფლების დარღვევის აღმოფხვრის ზოგად მოთხოვნის უფლებას § 1004 GER-BGB-ის მიხედვით. თვითდახმარების უფლება და უფლების დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლება, მეტადრე, ერთმანეთის პარალელურად არსებობს, ისე, რომ არც ერთი არ გამოიყენება უპირატესად (BGH, Urteil vom 07.03.1986 - V ZR 92/85 - BGHZ 97, 231; BGH, Urteil vom 23.02.1973 - V ZR 109/71 - BGHZ 60, 235).

ბ) დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მიმართება სხვა არასახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებთან

აა) მიმართება დელიქტთან და უსაფუძვლო გამდიდრების სამართალთან

თუ სახეზეა დავალების გარეშე სხვისი საქმის მართებული წარმოება, მაშასადამე, არსებობს სამართლებრივი საფუძველი შემსრულებლის მოქმედებებისთვის სხვის უფლებათა სფეროში. ამით შემსრულებელს საფუძველი ეცლება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების განხორციელებისთვის (BGH, Urteil vom 10.04.1969 II ZR 239/67 - NJW 1969, 1205; BGH NJW 1993, 3196, ციტირებულია ზემოთ პუნქტ 1 ბოლოს).

დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან და დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არსებობს ერთმანეთის პარალელურად. თუმცაღა მათ შორის არსებობს შინაარსობრივი ურთიერთმიმართება, იმდენად, რამდენადაც §§ 677 ff. GER-BGB-დან გამომდინარე უფლებამოსილება სხვისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ქმნის აგრეთვე დელიქტურ-სამართლებრივად გამართლების საფუძველს (Gregor in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 677 BGB Rn. 46; სადავოა - ნაწილობრივ ივარაუდება აგრეთვე გადაუდებელი დახმარების უფლება).

ბბ) მიმართება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობასთან

პრობლემატურია გამიჯვნა, ერთი მხრივ, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის, ხოლო, მეორე მხრივ, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების გამოყენების სფეროებს შორის. ამ კუთხით გერმანულ სამართალში ჯერაც არ არის

ბოლომდე გადაწყვეტილი ყველა შესაძლებელი კონსტელაცია. იმისთვის, რომ მოხდეს კონფლიქტების თავიდან აცილება ნაწილობრივ განსხვავებულ ნორმის წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს შორის, პრინციპის სახით მოქმედებს, რომ ყოველთვის შეიძლება სახეზე იყოს მხოლოდ ერთ-ერთი ამ ორი სამართლის ინსტიტუტის მოთხოვნის უფლებები. თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი § 687 Abs. 2 GER-BGB-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისთვის დავალების გარეშე სხვისი საქმის უსაფუძვლოდ წარმოებისას; ამ მოთხოვნის უფლებებს არ განდევნის მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები. ვინაიდან ქართულ სამართალში არ არსებობს მსგავსი რეგულაცია, ამ საკითხთან დაკავშირებით აღარ მოხდება უფრო დაწვრილებით მსჯელობა.

ზოგადი წესის სახით, ერთი მხრივ, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობისა და მეორე მხრივ, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების გამოყენების სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნისთვის, მოქმედებს, რომ:

თუ გამართლებულია დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოება, ეს წარმოშობს ფლობის უფლებას იმ მომენტამდე, სანამ მეპატრონე არ განახორციელებს ნივთის დაბრუნების სამართლიან მოთხოვნას (BGH, Urteil vom 29.10.1959 – VII ZR 197/58 - BGHZ 31, 129). მფლობელობის ამ უფლებით საფუძველი ეცლება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს. მსგავსი კონსტელაციების სიცხადისთვის, მაგალითის სახით გამოდგება, როდესაც შემსრულებელი მოახლოებული ქარიშხლისას საკუთარ ბინაში შეიტანს მეზობლის მიერ სახლის კედელზე ბედის ანაბარა მიყუდებულ ქოლგას, რის შედეგადაც ქოლგა დაზიანდება.

თუ ამისგან განსხვავებით, სახეზეა გაუმართლებელი ფლობა, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის სპეციალური წესები ბლოკავს დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციების გამოყენებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის უფლებას ვერ ამოვიყვანთ მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობიდან; ამ შემთხვევაში დაუშვებელია საფუძველი გამოეცალოს კანონმდებლის ამის უკან მდგარ ღირებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების რეგულაციების გამოყენებით (BGH, Urteil vom 26.02.1964 - V ZR 105/61 - BGHZ 41, 157). ეს, ძირითადად, ეფუძნება იმავე მოსაზრებებს, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ პუნქტ გ)-ში მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობასა და უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

გგ) რჩევები შემოწმების თანამიმდევრობასთან დაკავშირებით

ვინაიდან დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, როგორც წესი, განდევნის სხვა არასახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს, ან, სულ მცირე, შეუძლია გავლენა მოახდინოს მათზე, სასურველია, სამართლებრივი შემოწმებისას (აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებებში) დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან გამომდინარე სერიოზულად გასათვალისწინებელი მოთხოვნის

უფლებები შემოწმდეს სტრუქტურული თვალსაზრისით (მართალია არ განდევნილ, თუმცა სხვისი საქმის მართებული წარმოების გამო საფუძველგამოცლილი) დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებამდე და აგრეთვე (დავალების გარეშე სხვისი საქმის მართებული წარმოების შემთხვევაში განდევნილ) უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნებამდე. დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების მიმართებისას მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაზე, შემოწმების უფრო ხელსაყრელი თანამიმდევრობა დამოკიდებულია კონკრეტულ კონსტელაციაზე. თუ მართებულია დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოება, უმეტესწილად უფრო გონივრული იქნებოდა, რომ მისი შემოწმება მოხდეს მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების შემოწმებამდე, ვინაიდან ის, როგორც წესი, წარმოშობს (მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის გამოყენების სფეროს გამომრიცხავ) მფლობელობის უფლებას. თუ დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოება, პირიქით, არამართებული აღმოჩნდება, ხშირად უფრო ხელსაყრელია, რომ თავდაპირველად მოხდეს მესაკუთრესა და მფლობელს შორის მოთხოვნის უფლებების შემოწმება (და ამასთან კავშირში ამავედროულად წარმოდგენა, რომ არ არის სახეზე დავალების გარეშე სხვისი საქმის მართებული წარმოება, რომელსაც შეიძლება მივყავდეთ მფლობელობის უფლებამდე), ვინაიდან რეგულაციები მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით განდევნის დავალების გარეშე სხვისი საქმის გაუმართლებლად წარმოების გამოყენების სფეროს.

გ) მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიმართება სხვა არასახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებთან

თუ სახეზეა მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა, მაშასადამე მოცემულია - როგორც გერმანიაში ამას ხშირად უწოდებენ - ე.წ. ვინდიკაციური მდგომარეობა (ლათინურიდან: rei vindicatio), §§ 987 ff. GER-BGB-ის კანონისმიერი რეგულაციები (მოწესრიგების სფეროს მიხედვით მსგავსია - თუმცა გაცილებით ნაკლებად მკაცრად დიფერენცირებული: სკ-ის 163, 164-ე მუხლების), მათი საგნობრივი გამოყენების სფეროს ფარგლებში, გამორიცხავს ყველა სხვა არასახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს (BGH, Urteil vom 26.02.1964 - V ZR 105/61 -BGHZ 41, 157; BGH, Urteil vom 29.09.1995 - V ZR 130/94 - NJW 1996, 52). საგნობრივი გამოყენების სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ყველა ის სამართლებრივი საკითხი, რომელიც ეხება უსაფუძვლო მფლობელობაში არსებული ნივთის გამოყენებას, დაზიანებას ან მისი დაბრუნების სხვაგვარ შეუძლებლობას (BGH, Urteil vom 03.06.1954 - IV ZR 218/53 - BGHZ 14, 7). ეს, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს აგრეთვე მაშინ, როდესაც მოთხოვნის უფლებები (არსებული ვინდიკაციური მდგომარეობისას) არ გამომდინარეობს მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობიდან. თუმცა არ არსებობს მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის უპირატესობა, რამდენადაც ეს საერთოდ არ მოიცავს განსაზღვრულ კონსტელაციებს, უპირველეს ყოვლისა, უსაფუძვლო მფლობელობაში არსებული ნივთის გასხვისებისას, ან მისი სხვაგვარად ნამდვილი განკარგვისას (BGHZ 14, 7).

მიუხედავად სახელშეკრულებო რეგულაციების უპირატესობისა, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის წესების გამოყენებადობა არ გამოირიცხება იმით, რომ § 546a GER-BGB-ის მიხედვით (შინაარსობრივად მსგავსია სკ-ის 567-ე მუხ. პირველი ნაწილის) წარმოიშობა აგრეთვე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ მოქირავნე, ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ დააბრუნებს ქირავნობის ნივთს (BGH, Urteil vom 10.11.1965 – VIII ZR 12/64 - BGHZ 44, 241; BGH, Urteil vom 12.07.2017 - VIII ZR 214/16 - NJW 2017, 2997; უსაფუძვლო გამდიდრების სამართალთან მიმართებასთან დაკ. იხ ზემოთ 1. დ)).

დ) უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართება სხვა არასახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებთან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართება

აა) მიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებასთან, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობასთან და დელიქტის სამართალთან

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიმართებასთან დაკავშირებით დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებასთან და მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობასთან იხილეთ ზემოთ (ბ) აა) და გ)) პუნქტებში წარმოდგენილი მსჯელობა.

დელიქტიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, ზოგადი მოსაზრების მიხედვით, ერთმანეთის პარალელურად არსებობს გერმანულ სამართალში (Martinek in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/ Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 812 BGB Rn. 177). ეს არ წარმოშობს იმგვარ შედეგებს, რომელიც შინაარსობრივ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ერთმანეთთან, ვინაიდან სამართლებრივი შედეგი, ერთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაა, ხოლო, მეორე შემთხვევაში (პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, იმგვარი უსაფუძვლო გამდიდრებისას, როდესაც გამდიდრება აჭარბებს ზიანის ოდენობას), გამდიდრების შედეგად მიღებულის დაბრუნება, თუ საჭიროა, აგრეთვე მიუღებელი სარგებლის კომპენსაცია. გარდა ამისა, გერმანულ სამართალში უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები შეიძლება აგრეთვე არსებობდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან ერთად, ექსკლუზიურობის უფლებების დარღვევის გამო (საავტორო უფლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცული უფლებები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, პიროვნული უფლებები); კერძოდ, მაშინაც კი, როდესაც ბრალის არ არსებობის გამო არ არის სახეზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი წინაპირობები (BGH, Urteil vom 18.12.1986 - I ZR 111/84 - BGHZ 99, 244; BGH, Urteil vom 14.01.2016 - I ZR 65/14 – MDR 2016, 1035). ამ უფლებების კომერციული გამოყენებისას, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება შესაძლებელია აგრეთვე მიმართული იყოს დაზოგილი *ნებართვის მოსაკრებლის* წინააღმდეგ (BGH, Urteil vom 09.10.2008 - IX ZR 59/07 - NJW 2008, 3782; BGH MDR 2016, 1035).

ბბ) უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები ორ პირს შორის ურთიერთობისას

ორ პირს შორის ურთიერთობისას, საყოველთაო მოსაზრების მიხედვით (შდრ. Martinek in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 812 BGB Rn. 105), შესრულების მოთხოვნის უფლება სავალდებულოდ განდევნის უფლების ხელყოფის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას (ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი უკუმოთხოვნა). ეს გამომდინარეობს უკვე მხოლოდ იქიდან, რომ შესრულების არსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრებას „სხვა სახით“, მაშასადამე „ვალდებულების შეუსრულებლობით“.

გგ) უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები რამდენიმე პირს შორის ურთიერთობისას

გერმანიაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა საკმაოდ მრავალფეროვანია, როდესაც საქმე ეხება სამ პირს შორის ურთიერთობას, ან თუნდაც რამდენიმე პირს შორის სხვა ურთიერთობებს. ამასთან, როგორც ზოგადი წესი, მოქმედებს:

- რამდენადაც სახეზეა ურთიერთობა, რომელსაც შესრულება უდევს საფუძვლად, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალზე დაფუძნებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სამ პირს შორის ურთიერთობისას, უპირატესად უნდა განხორციელდეს შესრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობის დონეზე.
- სახეზეა თუ არა შესრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, და ვინ არის ამ ურთიერთობისას შემსრულებელი, უნდა შეფასდეს შესრულების გონიერი მიმღების გადმოსახედიდან (ე.წ. მიმღების თვალსაწიერი). აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება ობიექტურ სამართლებრივ მდგომარეობას.
- თუ შესრულება ფაქტობრივად არ განხორციელდება „სამკუთხედის ფორმატში“, მაშასადამე ა-სგან ბ-ს მიმართ და ბ-სგან გ-ს მიმართ, არამედ ფაქტობრივად უშუალოდ მესამე პირის მიერ (ა) შესრულების მიმღების მისამართით (გ), გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენად ახორციელებს ფაქტობრივად შემსრულებელი (ა) შესრულების მიმღების გადმოსახედიდან (გ), საკუთარ შესრულებას, თუ ის მეტადრე მოქმედებს შუაში მდგომი (ბ)-სთვის, მაშასადამე არის მისი დამხმარე ვალდებულების შესრულებისას ან მის მიერ დაქირავებული პირი.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვნებისა ან ქმედუუნარო პირების დაცვის ინტერესი.

ამ ზოგადი პრინციპების შედეგია ის, რომ ბ-სა და გ-ს შორის ფაქტობრივი შესრულების მიღებისას, როგორც წესი, გამოირიცხება ა-ს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება გ-ს მიმართ. თუ ბ-სა და გ-ს შორის ობიექტურად არ არის სახეზე შესრულების მიღება (იგულისხმება ბ-ს სამართლებრივი შესრულების ვალდებულება), გ-ს შეუძლია ივარაუდოს ბ-ს მიერ შესრულება, ვინაიდან არ იყო შემჩნეული შესრულების

მიღების სამართლებრივი ნაკლი, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე პროცესი უნდა წარიმართოს აგრეთვე ბ-სა და გ-ს შორის. ა-სა და ბ-ს შორის შიდა ურთიერთობაზეა დამოკიდებული, განხორციელდება თუ არა აგრეთვე ამ დონეზე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

შესრულების მიღების უპირატესობის გამო, მით უფრო გამოირიცხება ა-ს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული უკუმოთხოვნა გ-ს წინააღმდეგ, როდესაც მართალია ა-სა და ბ-ს შორის ურთიერთობაში არ არის სახეზე შესრულების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ის მოცემულია ბ-სა და გ-ს შორის ურთიერთობაში. მსგავს სიტუაციაში მხოლოდ ა-ს წარმოეშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ბ-ს წინააღმდეგ.

სადავოა სამართლებრივი მდგომარეობა ე. წ. ორმაგი ნაკლისას, მაშასადამე, როდესაც, როგორც ა-სა და ბ-ს შორის ურთიერთობაში, ისე ბ-სა და გ-ს შორის ურთიერთობაში არ არსებობს შესრულების სამართლებრივი საფუძველი. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ ძველ გადაწყვეტილებაში მსგავსი განსაკუთრებული კონსტელაციისთვის, გამონაკლისის სახით, დაუშვა ა-ს მიერ გ-სგან ე.წ. გამჭოლი მოთხოვნის უფლების განხორციელების შესაძლებლობა (BGHZ 5, 281). თუმცა ამ სასამართლო პრაქტიკას ამასობაში (სრულად მართებულად) ნაწილობრივ არ იზიარებენ უმაღლესი სამხარეო სასამართლოები (მაგ. OLG Karlsruhe, Urteil vom 09. April 2015 - 12 U 17/14, juris; Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 19. Oktober 2012 - 10 U 17/12, juris). აგრეთვე უმაღლესი ფედერალური სასამართლო გამომდინარეობს იქიდან, რომ გამჭოლი მოთხოვნის უფლება არ გამოიყენება, სულ მცირე, მაშინ, თუ ბ-სა და გ-ს შორის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის რეჟიმი არ ეფუძნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს, არამედ ხელშეკრულებას, მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ (BGH, Urteil vom 29.05.1967 - VII ZR 66/65 - BGHZ 48, 70).

განსაკუთრებით პრობლემატურია ე.წ. მითითების შემთხვევები. ამაში მოიაზრება ის კონსტელაციები, რომლის დროსაც ა ფაქტობრივად პირდაპირ ახორციელებს შესრულებას გ-ს მიმართ, თუმცა ბ-ს „დავალების“ საფუძველზე. მსგავსი დავალებებისას, როგორც წესი, ბევრი რამ მეტყველებს იმის სასიკეთოდ, რომ ფაქტობრივი შემსრულებელი, შესრულების მოქმედებისას, შესრულების მიმღების გადმოსახედიდან, მოქმედებს არა, როგორც მესამე პირი (მაშასადამე საკუთარი შესრულების მოქმედებით), არამედ ის მოქმედებს მოვალის სახელით ან როგორც მისი დამხმარე, როგორც ე. წ. შესრულების შუამავალი (BGH, Beschluss vom 27.09.2017 - IV ZR 39/16, juris; BGH, Urteil vom 13.03.2014 - IX 147/11 - NJW-RR 2014, 873; Kerwer in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 267 BGB Rn. 5.) უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მსგავსი კონსტელაციებისთვის - აგრეთვე, რამდენადაც უნდა მოხდეს ქმედუუნაროებისა ან არასრულწლოვნების დაცვის გათვალისწინება - შეიმუშავა შემდეგი პრინციპები (ამონარიდი BGH, Urteil vom 20.6.1990 - XII ZR 98/89 - BGHZ 111, 382):

„ა) სააპელაციო სასამართლო სწორად გამომდინარეობს იქიდან, რომ უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრება დავალების საფუძველზე შესრულების შემთხვევებში,

ძირითადად ხორციელდება შესაბამისი შესრულების ურთიერთობის ფარგლებში. დავალების მიმცემსა და შემსრულებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობისას ხარვეზის არსებობის შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი გათანაბრება უნდა მოხდეს ამ ურთიერთობის ფარგლებში. თუ, ამისგან განსხვავებით, ქონებრივი ურთიერთობა დავალების მიმცემსა და გადახდის მიმღებს შორის შეიცავს ხარვეზს, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე გათანაბრება უნდა მოხდეს ამ ურთიერთობის ფარგლებში.

თუმცა უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ განმეორებით აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორზე მეტი პირი, აკრძალულია პრობლემის გადაწყვეტის ყოველგვარი სქემატური მიდგომა, არამედ განმსაზღვრელია ყოველთვის ინდივიდუალური შემთხვევის თავისებურებები, რომელიც გასათვალისწინებელია მსგავსი საქმეების წარმოებისთვის უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიხედვით (...).

უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომლის დროსაც, თავდაპირველად, დავალება ნამდვილი იყო და გადახდის მიმღებს ამის შესახებ ეცნობა ჩეკის გადაცემის მომენტისთვის, ხოლო მოგვიანებით ეს დავალება გაუქმდა ჩეკის განაღდებად, გადახდის მიმღებისთვის შეუტყობინებლად, გადაწყვიტა, რომ ბანკს, რომელმაც გაანაღდა ჩეკი, არ წარმოშობია უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე პირდაპირი მოთხოვნის უფლება ჩეკის მფლობელის მიმართ, არამედ ის უნდა შეეცადოს მის კლიენტთან მოახდინოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების გათანაბრება (BGHZ 61, 289; შდრ. აგრეთვე BGHZ 87, 246). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, გარდა ამისა, ივარაუდა, რომ ბანკს, რომელიც შეცდომით შეუცვლელად გააგრძელებს დავალების მიმცემის მიერ მინიჭებულ, თუმცა მოგვიანებით გაუქმებულ ან შეცვლილ გრძელვადიან დავალებას, არ წარმოეშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე პირდაპირი მოთხოვნის უფლება გადახდის მიმღების წინააღმდეგ, რამდენადაც ამ უკანასკნელმა არ იცოდა გრძელვადიანი დავალების გაუქმების ან შეცვლის შესახებ (BGHZ 89, 376; BGH NJW 1984, 2205).

მეორე მხრივ, უმაღლესი ფედერალური სასამართლო, იმ შემთხვევებისთვის, რომელშიც გადახდის მიმღებმა, გადახდის მიღებისას, იცოდა ნამდვილი დავალების არ არსებობის ან შესაბამისად მისი მოგვიანებით გაუქმების შესახებ, ანიჭებს შემსრულებელს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე პირდაპირ მოთხოვნის უფლებას გადახდის მიმღების წინააღმდეგ (...BGHZ 87, 393; BGHZ 88, 232...). ამასთან, ამ სასამართლო პრაქტიკისთვის განმსაზღვრელი იყო, რომ მსგავს შემთხვევებში შემსრულებლის მიერ განხორციელებული გადახდა, გადახდის მიმღების გადმოსახედიდან არ წარმოადგენდა დავალების მიმცემის შესრულებას (BGHZ 88, 232).

ბ) თუ თავიდანვე არ არის სახეზე ნამდვილი დავალება და აგრეთვე გამოყენების ნამდვილი მიზანი დავალების მიმცემის ქმედუუნარობის გამო, მაშინ ვერ მივიღებთ დავალების მიმცემის მიერ „შესრულებას“, ვინაიდან მას ვერ მივაკუთვნებთ შემსრულებლის მიერ

განხორციელებულ გადახდას. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებაში § 812 Abs. 1 BGB-ის მიხედვით იგულისხმება სხვისი ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა (BGHZ 58, 184). თუ სხვისი ქონების ეს გაზრდა მდგომარეობს ფულის გადარიცხვაში, მაშინ ამისთვის დავალების გარიგებითი ხასიათის გამო და აგრეთვე დანიშნულების, როგორც მინიმუმ, გარიგებითი ხასიათის გამო (შდრ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით BGHZ 106, 163) აუცილებელია დავალების მიმცემის ქმედუნარიანობა. თუ არ არის სახეზე ეს ქმედუნარიანობა, მაშინ შემსრულებლის მიერ მესამე პირისთვის გადახდა არ წარმოადგენს დავალების მიმცემის შესრულებას. აქედან გამომდინარე, დავალების მიმცემი ვერ გამდიდრდებოდა გადახდით, ვერც ქონებრივ ურთიერთობაში არსებული ვალდებულების შესრულების გამო და მას ამით ვერც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მესამე პირების მიმართ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე გათანაბრება ამ შემთხვევაში, მეტადრე, უნდა ვეძიოთ შემსრულებელსა და გადახდის მიმღებს შორის ურთიერთობაში...

რამდენადაც არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ აგრეთვე დავალების მიმცემის ქმედუნარიანობის შემთხვევაში გათანაბრება უნდა მოხდეს მხოლოდ დავალების მიმცემსა და შემსრულებელს შორის ურთიერთობის ფარგლებში (...), პალატა ვერ გაიზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან ეს მიდგომა არ არის თანხვედრაში ქმედუნარო პირების კანონით გათვალისწინებულ დაცვასთან. ამავე საფუძვლიდან გამომდინარე, მსგავს შემთხვევებში არ შეიძლება იყოს გადაწყვეტი გადახდის მიმღების პერსპექტივა. გადახდის მიმღების კანონიერი ნდობის პრინციპმა ამ შემთხვევაში გზა უნდა დაუთმოს ქმედუნარო პირის დაცვას.“

მესამე პირების მიერ დავალების გარეშე შესრულების კლასიკურ შემთხვევაში (§ 267 GER-BGB; სკ-ის 371-ე მუხ.) მოქმედებს (ამონარიდი BGH, Urteil vom 28.11.1990 - XII 130/89 - BGHZ 113, 62):

„უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის მესამე პირების მიერ გადახდის შემთხვევებში, დღეს არსებული უმეტესწილად გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მოქმედებს პრინციპი, რომ გადამხდელს შეუძლია პირდაპირ მოითხოვოს დაბრუნება ვითომ კრედიტორისგან, რამდენადაც არ არსებობდა დასაფარი ვალდებულება (...). ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, მოქმედებს - წინამდებარე შემთხვევაში მოცემული - წინაპირობის არსებობისას, რომ ვითომ მოვალეს არ გამოუწვევია გადამხდელის მიერ ვალდებულების შესრულება ან მას ვერ მიეწერება ამის გაკეთება (...). ამ შეფასებას იზიარებს პალატა. ის, ვინც ასრულებს სხვის ვალდებულებას, შეუძლია პირდაპირ მოითხოვოს დაბრუნება გადახდის მიმღებისგან, თუ და რამდენადაც არ არსებობს ვალდებულება. შესრულებისას, რომელიც არ ეფუძნება ვითომ მოვალის დავალებას, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ ეს პირი გადამხდელის ნაცვლად მოვიაზროთ შემსრულებლად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს მისი ჩართვის საფუძველი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში (...).“

IV. ცალკეული მოთხოვნის უფლებების ფლობა, პროცესუალური საკითხები

გერმანულ სამართალში შეუძლებელია იმ მოთხოვნის უფლების ცალკე ფლობა, რომელიც კონკურენციაშია სხვა მოთხოვნის უფლებებთან. ასევე ნაკლებად შესაძლებელია, მხოლოდ ცალკეული, მოთხოვნის უფლებათა კონკურენციაში არსებული მოთხოვნის უფლებების განხორციელება.

1. კონკურენციაში არსებული მოთხოვნის უფლებების ფლობა

რამდენადაც სახეზეა მოთხოვნის უფლების ფლობა, პროცესის მონაწილეთა ინტერესებთან დაკავშირებული მდგომარეობა, როგორც წესი, მეტყველებს იმის სასიკეთოდ, რომ ეს ფლობა მოიცავს ერთმანეთთან კონკურენციაში არსებულ ყველა მოთხოვნის უფლებას; ეს მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნის უფლება დასახელებულია მხოლოდ არასრულად, მაშასადამე მაგ. მოთხოვნის დათმობის მოწმობაში არ არის მოხსენებული ყველა ერთმანეთის კონკურენციაში არსებული მოთხოვნის უფლება (BGH, Urteil vom 09.12.1998 - XII ZR 170/96 - BGHZ 140, 175).

ამისგან დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს საკითხი, რამდენად არის საერთოდ სამართლებრივად შესაძლებელი რამდენიმე ერთმანეთის კონკურენციაში არსებული მოთხოვნის უფლებიდან ერთ-ერთის განცალკევებულად ფლობა. ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების უმრავლესობა შეუძლებლად მიიჩნევს ამას (შდრ. აქტუალურ მოსაზრებებთან დაკავშირებით: Rosch in:

Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 398 BGB Rn. 14).

მართალია უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს ამომწურავად არ გადაუწყვეტია ეს საკითხი, თუმცა ყურადღება გაამახვილა მოკრძალებულ მიმდინარეობაზე და მოთხოვნის უფლების დათმობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სხვადასხვა ერთმანეთის კონკურენციაში არსებული მოთხოვნის უფლების დაყოფა - რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ეს - შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დაეთანხმება ამას (BGHZ 140, 175). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ეს დაასაბუთა იმით, რომ დაყოფით ვიღებთ სოლიდარულ კრედიტორებს § 428 GER-BGB-ის მიხედვით (სკ-ის 455-ე და მომდევნო მუხლები), რაც დაუშვებელია მოვალის ნების არსებობის გარეშე. ბევრი რამ შეიძლება მეტყველებდეს იმის სასარგებლოდ, რომ არ დაეუშვათ მოთხოვნის უფლებების განცალკევებული ფლობა, მით უფრო, რომ ამით არა მხოლოდ სამართლებრივად უცხო სხეული წარმოიშობა, არამედ აგრეთვე სასამართლოში საქმისწარმოებისას მოქმედ პრინციპებში წარმოიშობა თითქმის გადაუჭრელი ურთიერთწინააღმდეგობები დავის საგანთან დაკავშირებით (შდრ. ამასთან დაკავშირებით განსხვავებულ კონტექსტში: BGH, Beschluss vom 10.12.2002 - X ARZ 208/02 - BGHZ 153, 173).

2. დავის საგანი

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში პროცესუალური დავის საგანი მოიცავს ყველა მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლო გადაწყვეტილებას. ამასთან არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ მოთხოვნის უფლების რომელ სამართლებრივ საფუძველს აფუძნებენ მხარეები საკუთარ ახსნა-განმარტებას. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით, მათ შორის, განმარტავს (BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259):

„დავის საგანი § 253 Abs. 2 Nr. 2 ZPO-ის შესაბამისად, როგორც ამას თავიდანვე მართებულად ვარაუდობს სააპელაციო სასამართლო, განისაზღვრება სასარჩელო მოთხოვნით, რომელშიც მოსარჩელე აკონკრეტებს მის მიერ განხორციელებული მოთხოვნის უფლების სამართლებრივ შედეგს და ფაქტობრივი გარემოებებით (მოთხოვნის უფლების საფუძვლით), რომელსაც მოსარჩელე უკავშირებს სასურველ სამართლებრივ შედეგს. მოთხოვნის უფლების საფუძველს უნდა მივაკუთვნოთ ყველა ის ფაქტი, რომელიც ბუნებრივი და მხარეთა გადმოსახედიდან და ფაქტობრივი გარემოებების ბუნებიდან გამომდინარე შეფასებისას უნდა მივაკუთვნოთ გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი ფაქტების ჯაჭვს (BGH ZIP 2015, 1701).

აქედან გამომდინარე, დავის საგანი მოიცავს ყველა იმ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას, რომელიც წარმოდგენილი მოთხოვნის ფარგლებში გამომდინარეობს გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან (BGHZ 198, 294). სახეზეა მხოლოდ ერთი დავის საგანი, რამდენადაც ფაქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მატერია ვერ იქნება გონივრულად განაწილებული სხვადასხვა დამოუკიდებელ პროცესად, რომელიც ცვლის ფაქტობრივი გარემოებების ძირითად არსს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროცესები ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას (BGHZ 194, 314). სახეზეა რამდენიმე დავის საგნის არსებობა, რამდენადაც მატერიალურ-სამართლებრივი რეგულაცია საგრძნობლად განსხვავებულად ახდენს ერთნაირი მოთხოვნის უფლებების სტრუქტურირებას ცალკეული ფაქტობრივი გარემოების დამოუკიდებლად გამოყოფით (BGH ZIP 2008, 1991; BGHZ 194, 314).“

მსგავსად ჩამოყალიბებული დავის საგნის ფარგლებში მხარეებს არ შეუძლიათ მოსამართლისთვის სავალდებულო გახადონ მოთხოვნის უფლების განსაზღვრული საფუძველების გამოყენება. მოსამართლემ საკუთარი გადაწყვეტილებისას, რომლითაც ის აკმაყოფილებს სარჩელს, დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, თუ მოთხოვნის უფლების რომელ სამართლებრივ საფუძველებზე დააფუძნებს ის მას. და პირიქით, იმ სასამართლო გადაწყვეტილებებისას, რომლითაც მოსამართლე უარს ეუბნება მხარეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უნდა განმარტოს, თუ რატომ არ არის სახეზე არც ერთი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი, რომელზეც უთითებს მხარე. თუ მოსამართლეს სურს საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძველს, რომელიც გამორჩათ მხარეებს, მან ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერ

შემთხვევაში, გადაწყვეტილების გამოცემამდე დროულად უნდა მიუთითოს მხარეებს მოსამართლის მითითების ვალდებულების ფარგლებში (§ 139 GER-ZPO).